**უმაღლესი საგანმანათლებლო
დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო**

13/07/2026

MES 2 26 0000918506

გადაწყვეტილება

შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების არაგეგმიური მონიტორინგის ფარგლებში დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა (ბრძანება № 189285, 19/02/2026) და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარეების მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 88-ე მუხლის 25-ე პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის (ს/კ 200002120) მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება.
2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2026 წლის 13 ივლისის №914863 სხდომის ოქმის მეოთხე ნაწილი და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის

დასკვნა შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის შესახებ, ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილებად.
3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონმდებლობით დადგენილი წესით, შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ქავთარია ზურაბი

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ჭელიძე სერგო

ელექტრონული
ეროვნული
ელექტრონულად